პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 191 (3168)

1 1966 წ. ოქტომბერი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

სსრ კავშირის პირველობა

## „პახტაკორი" ძლიერი გუნდია

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 30 სექტემბერი.

„დინამო" (თბილისი) — „პახტაკორი" (ტაშკენტი) 1:1 (1:0).

„დინამო": ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ქელიძე, შერგელაშვილი, ხახვაძე, გ. სიჭინავა, ილიადი, დათუნაშვილი, მეტრეველი, იამანიძე, მესხი (ასათიანი).

„პახტაკორი": ლიუბარცევი, ინოიატოვი, შტერნი, ნაუმენკო, სუიუნოვი, სოლოხო, რახმატულაევი, ტაჯიროვი, იბრაგიმოვი, კრასნიცკი, აბდურაიმოვი.

მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

„პახტაკორი" მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის ნამდვილ საოცრებას წარმოადგენს. მართალია, ამ გუნდმა ძალიან ცუდად დაიწყო მეორე წრე და 7 მატჩში მხოლოდ 4 ქულა დააგროვა, მაგრამ მას მაინც ეყო სტარტზე მოპოვებული ქულები, რათა ლიდერთა შორის შეენარჩუნებინა ადგილი. გარდა ამისა, ტაშკენტელებს საუკეთესო დაცვა ჰყავთ და გაშვებული ბურთებით მეორე ადგილზე იმყოფებიან.

საინტერესო იყო, რითი ინარჩუნებდა „პახტაკორი" კარის შეუხებლობას: გაძლიერებული „ბეტონით", მასირებული დაცვით, თუ უკანა ხაზების მოთამაშეთა უნარიანი ერთიერთმოქმედებით? რა თქმა უნდა, ტაშკენტის გუნდი არაა დაცვითი სისტემის მიმდევარი. ნახევარმცველები მხოლოდ აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში ჩამოდიან კარის სიახლოვეს და მაშინვე, როგორც კი ბურთი მოგერიებულია, იწყება მისი გეგმიანი, საკმაოდ ზუსტი გათამაშება. თავდამსხმელებს შესწევთ ძალა ხანგრძლივი შეტევა აწარმოონ და რეალური საშიშროება შეუქმნან მეტოქის კარს. გუშინდელ მატჩში „პახტაკორმა" ძლიერი, კარგად შეთამაშებული კოლექტივის შთაბეჭდილება დატოვა.

საერთო უპირატესობა, ეჭვს არ იწვევს, თბილისელთა მხარეს იყო. ისინი მეტს ფლობდნენ ბურთს, სახიფათო მომენტები სტუმრების საჯარიმო მოედანზე გაცილებით უფრო ხშირად იქმნებოდა, ვიდრე პირიქით, მაგრამ ამ უპირატესობის „სისრულეში მოყვანა" ჩვენმა გუნდმა ვერ შეძლო. თავდამსხმელები, რატომღაც, ნერვიულობდნენ, ნაჩქარევად მოქმედებდნენ და გადამწყვეტ მომენტებში ან უზუსტოდ ურტყამდნენ, ან პირდაპირ მეკარეს „აბარებდნენ" ბურთს. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მეტრეველი პირისპირ გავიდა ლიუბარცევთან და ეს წამიერი დუელი ტაშკენტელთა კარის დარაჯს მოაგებინა.

„დინამოს" თავდასხმის ეფექტურობაზე საგრძნობი გავლენა იქონია იმ ფაქტმაც, რომ მისმა მოწინავე მოთამაშეებმა მეტრეველმა და მესხმა „პრინციპული" ხასიათის ინდივიდუალური ბრძოლა აუხოხინეს ნაუმენკოსთან და ინოიატოვთან, ვერც ამ ბრძოლაში გაიმარჯვეს და შეტევის მთლიანობაც დაირღვა.

ანგარიში 25-ე წუთზე გახსნა იამანიძემ. მან მიიღო ილიადის გადაცემა, მოატყუა მცველები, მერე მათი მეკარეც „მიაყოლა" და ცარიელ კარში დაარტყა — 1:0. საპასუხო გოლი „პახტაკორმა" ასე გაიტანა 49-ე წუთზე: კრასნიცკიმ დაახლოებით 30 მეტრის მანძილიდან უძლიერესი საჯარიმო დარტყმით გაგზავნა ბურთი კარისკენ. დინამოელთა დაცვის კედელში „ბზარი" აღმოჩნდა. ურუშაძემ მოიგერია ბურთი, რომელსაც „დინამოს" სახტად დარჩენილ მცველთა „კომპანიაში" მიუსწრო აბდურაიმოვმა და ანგარიშიც გათანაბრდა. დარჩენილმა დრომ თბილისელებს ვერ მოუტანა წარმატება.

რ. ქორიძე.



ს უ რ ა თ ზ ე: თბილისელთა თავდამსხმელი დათუნაშვილი და „პახტაკორის" მეკარე ლიუბარცევი ბურთისთვის ბრძოლის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## მესამე...

ევროპის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ობერჰაუზენი (გფრ) დღეიდან ჭადრაკის სამყაროს ყურადღების ცენტრში იქნება. იგი მასპინძლობას გაუწევს ქალთა III საჭადრაკო ოლიმპიადას, ანუ მსოფლიოს მოჭადრაკე ქალთა გუნდურ პირველობას. თითქმის 20 ქვეყნის ცნობილ მოჭადრაკეებს თვალი უჭირავთ ვერა მენჩიკის სახელობის გარდამავალ თასზე, რომელიც ოლიმპიადაში გამარჯვებულს გადაეცემა.

ობერჰაუზენს ჩავიდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, სსრ კავშირის გუნდიც (ნ. გაფრინდაშვილი, ვ. კოზლოვსკაია, ტ. ზატულოვსკაია) და თან ვ. მენჩიკის სახელობის თასი ჩაიტანა.

ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადა 1957 წლიდან ეწყობა. I ოლიმპიადა გაიმართა ჰოლანდიის ქალაქ ემენში, სადაც საბრძოლველად 21 ქვეყნის გუნდი ჩამოვიდა. ფიდე-ს დადგენილების შესაბამისად თვითეულ გუნდში 2 მოჭადრაკე იყო.

უაღრესად ძნელი ბრძოლის გადატანა მოუხდა საბჭოთა გუნდს (ო. რუბცოვა, კ. ზვორიკინა). ფინალში მან I-II ადგილები გაიყო რუმინეთის ნაკრებთან (10,5-10,5 ქულა 16-დან), მაგრამ, ვინაიდან ჩვენებს მეტი მატჩი ჰქონდათ მოგებული, ვ. მენჩიკის სახელობის თასი და მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლები მათ გადაეცათ. III ადგილზე გავიდა გდრ-ის გუნდი (10).

მხოლოდ 6 წლის შემდეგ, 1963 წელს, სპლიტში (იუგოსლავია) მოეწყო II ოლიმპიადა. ჩემპიონობაზე ამჯერად პრეტენზიას 15 ქვეყანა აცხადებდა. საბჭოთა გუნდს (ნ. გაფრინდაშვილი, ტ. ზატულოვსკაია, სათადარიგო — კ. ზვორიკინა) კვლავ მძიმე ბრძოლის გადატანა მოუხდა.

— მთავარი სიძნელე ის იყო, რომ თვითეულ გუნდში მხოლოდ 2 მოჭადრაკე შედიოდა და უბრალო შემთხვევასაც, რაც არასოდეს არ არის გამორიცხული დამქანცველ შეჯიბრებაში, შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა I ადგილისთვის ბრძოლაში. მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ალბათ იმიტომ, რომ ყოველ პარტიას უდიდესი მონდომებით ვთამაშობდით, — იხსენებს მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი.

ჩვენმა მოჭადრაკეებმა შეძლეს იუგოსლავიის ძლიერი გუნდის (მ. ლაზარევიჩი, ვ. ნედელკოვიჩი, სათადარიგო — კ. იოვანოვიჩი) გასწრება. ეს შესაძლებელი გახდა ფინიშზე სწორედ იუგოსლაველებთან შეხვედრის (ისინი ჩვენებს ნახევარი ქულით ჩამორჩებოდნენ) ყაიმით დამთავრებით (ნ. გაფრინდაშვილმა მოუგო მ. ლაზარევიჩს, ტ. ზატულოვსკაიამ წააგო ვ. ნედელკოვიჩთან). ჩვენებმა 25 ქულა მოაგროვეს 28-იდან, იუგოსლაველებმა კი — 24,5. III ადგილზე გავიდნენ გდრ-ის მოჭადრაკეები (2:1).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ოლიმპიადაში აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი ჰქონდა ვ. ნედელკოვიჩს, რომელმაც II დაფაზე 12 ქულა მოაგროვა 12-დან! I დაფაზე ყველაზე მეტი ქულა დააგროვა ნ. გაფრინდაშვილმა — 11,5 12-დან.

და აი, ობერჰაუზენში დღეიდან 15 ოქტომბრამდე ჩვენი დროის გამოჩენილი მოჭადრაკე ქალები ერთმანეთს შეეცილებიან ვ. მენჩიკის სახელობის ოქროს თასს. ცუდად აქვს საქმე ფიდე-ს. თუ საბჭოთა ქალებმა მესამედ დაისაკუთრეს ეს პრიზი, მაშინ მას ახალი თასის შეძენა მოუხდება, რადგან აბსოლუტური სამუდამოდ გადაეცემა საბჭოთა მოჭადრაკეებს.

თ. გიორგაძე.



ნ. გაფრინდაშვილი.



ვ. კოზლოვსკაია.



ტ. ზატულოვსკაია.

„ა" I ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 1 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 28 | 18 | 9 | 1 | 53—12 | 45 |
| ცსკა | 25 | 15 | 6 | 4 | 51—30 | 36 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 28 | 14 | 7 | 7 | 45—27 | 35 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 28 | 13 | 7 | 8 | 41—23 | 33 |
| ასკ (როსტოვი) | 27 | 15 | 3 | 9 | 42—38 | 33 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 26 | 8 | 14 | 4 | 25—18 | 30 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 24 | 11 | 7 | 6 | 33—28 | 29 |
| „დინამო" (მინსკი) | 28 | 10 | 9 | 9 | 32—30 | 29 |
| „დინამო" (თბილისი) | 27 | 9 | 10 | 8 | 33—26 | 28 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 26 | 10 | 7 | 9 | 24—27 | 27 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 27 | 9 | 8 | 10 | 35—31 | 26 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 26 | 11 | 4 | 11 | 26—30 | 26 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 29 | 10 | 6 | 13 | 32—44 | 26 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 27 | 7 | 10 | 10 | 24—30 | 24 |
| „არარატი" (ერევანი) | 27 | 6 | 9 | 12 | 18—41 | 21 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 28 | 7 | 5 | 16 | 34—52 | 19 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 27 | 3 | 12 | 12 | 17—36 | 18 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 27 | 6 | 4 | 17 | 22—39 | 16 |
| ასკ (ოდესა) | 27 | 1 | 9 | 17 | 12—40 | 11 |

„ა" II ჯგუფი

## ბათუმელთა ფრე

ნალჩიკი, 30 სექტემბერი (ტელეფონით). დღეს აქ გაიმართა მორიგი ტურის მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი" და ბათუმის „დინამო". თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

### მატჩები, გოლები, ქულები

29 სექტემბერი

ცსკა — „დინამო" (მოსკოვი) 2:0. ბურთები გაიტანეს სეკეჩმა და ვარგამ.

„ჩერნომორეცი" — „დინამო" (მინსკი) 1:0. გოლის ავტორია საკი.

30 სექტემბერი

„ნეფტიანიკი" — „კაირატი" 3:0. ბურთები გაიტანეს ბანიშევსკიმ, გაჯიევმა (პენალტი) და ტუაევმა.

„ზენიტი" — „დინამო" (კიევი) 0:0.

„კრილია სოვეტოვი" — „არარატი" 0:0.

## გაიმარჯვა „ლოკომოტივმა"

მოსკოვი. ცენტრალური სტადიონი. 30 სექტემბერი.

„ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 3:1 (1:0).

„ლ ო კ ო მ ო ტ ი ვ ი": პოლიაკოვი, ბასალაევი, პრუდნიკოვი, ინოგამოვი, ზაიცევი, დავიდოვი, პეტროვი, შელუდკო, გერშკოვიჩი, კოზლოვი, კოროტკოვი.

„ტ ო რ პ ე დ ო": კვასხვაძე, ძოძუაშვილი, წივწივაძე, სიამაშვილი, ზარია, კუტივაძე, ასიტაშვილი, ხაჟალია, ერქომაიშვილი, გ. ნოღია, ლ. ნოდია.

მსაჯი ა. ივანოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 0:0.

მოსკოველთა პირველი მწვავე შეტევების შემდეგ თამაში გათანაბრდა და ტორპედოელებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მეტოქის კართან. ტაიმის დასასრულს ზაიცევის მიერ დარტყმული ბურთი მოხვდა სიამაშვილს და გავიდა კარში — 1:0.

მეორე ტაიმში დავიდოვმა და შელუდკომ ანგარიში 3:0-მდე აიყვანეს. მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლეს ქუთაისელებმა ერთადერთი საპასუხო გოლის გატანა, რომლის ავტორი იყო ასიტაშვილი.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

„ბ" კლასი IV ზონა

29 სექტემბერს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის IV ზონის გუნდებს შორის. აი, შედეგები: „ლერნაგორცი" (კაფანი) — „უროჟაი" (დერბენტი) 4:1, „არაქსი" (ერევანი) — „დინამო" (მახაჩყალა) 2:2, „ლორი" (კიროვაკანი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 1:1, „სევანი" (ოქტემბერიანი) — „მაშინოსტროიტელი" (პიატიგორსკი) 1:1, „უროჟაი" (კრიმსკი) — „დინამო" (სოხუმი) 2:1, „უროჟაი" (მაიკოპი) — „კოლხიდა" (ფოთი) — 2:1, „ურალანი" (ელისტა) — „ენგური" (ზუგდიდი) 2:2, „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) — „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) 1:0.

# ორ ფრონტზე

სამტრედიის ჩაის მექანიკური ქარხნის კოლექტივი კარგად მოემზადა დიდი ქართველი პოეტის საიუბილეო დღეებისათვის. საამქროების კედლები უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებით დაამშვენეს და ახლა მათ ბევრი მნახველი ჰყავთ.

ქარხნის დირექტორს შ. გოგავას რაიონში იცნობენ როგორც ხელოვნებისა და სპორტის დიდ ქომაგს. მისი თაოსნობითა და ხელშეწყობით ბევრი კარგი საქმე გაკეთდა კოლექტივში.

ქარხნის სისხლსავსე ცხოვრება დილის საწარმოო ტანვარჯიშით იწყება. დარაჯიც კი მიატოვებს ხოლმე საგუშაგოს და კოლონას ბოლოში მოექცევა. მომეცადინეებს ზეინკალი მ. ტორონჯაძე უდგას სათავეში. საწარმოს ფიზკულტურელებმა თავად მოაწყეს კომპლექსური სპორტული ბაზა ქარხნის ტერიტორიაზე და სამუშაო დღე ისე როგორ დამთავრდება, ახალ სარბიელზე მუხლსა და მკლავს სიმკვრივე არ აგრძნობინონ!..

ეს ფიზკულტურული კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. მისი ბაზები ყველა დიდ ასპარეზობას თამამად უმასპინძლებს. ქარხნის სპორტსმენები რაიონის ჩემპიონები არიან ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და შაშში. ფეხბურთელთა გუნდი ხშირად წარმატებით მონაწილეობს საქართველოს ზონალურ პირველობებშიც. შრომასა და სპორტში მიღწეული წარმატებებით ერთნაირად ამაყობენ ზეინკალი ა. ძაგანია, ხარატი ა. ამაღლობელი, ელექტრო-შემდუღებელი ო. ბექაია, ლაბორანტი ს. ვაჩეიშვილი და სხვ.

ხშირად იმართება შიდასაკოლექტივო შეჯიბრებანი. ახლა განზრახული აქვთ საქარხნო სპარტაკიადის მოწყობა. ამ ასპარეზობის ქულათა შეჯამებისას საამქროსა და ცალკეული სპორტსმენების მიღწევებს საწარმოო მაჩვენებლებიც დაემატება. გამარჯვებულს აქ ორ ფრონტზე წარმატება გამოავლენს.

საწარმოს მშრომელებში ფიზკულტურისა და სპორტის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს ქარხნის ტერიტორიაზე უხვად გამოფენილი ფოტოსტენდები, კედლის გაზეთები, ლოზუნგები და სპორტული პლაკატები, რომლებიც აქეზებს ახალი წარმატებებისკენ მოუწოდებენ.

ქარხნის ფიზკულტურულმა კოლექტივმა წლევანდელი გეგმა-ვალდებულების 6 თვის ნორმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. საწარმოს სპორტსმენებს ბევრჯერ უსახელებიათ თავი რაიონულ პირველობებში, წლეულს კი კვების მრეწველობის მუშაკთა ზონალურ სპარტაკიადაშიც იმარჯვეს — I ადგილი დაიკავეს ფეხბურთში, კალათბურთსა და შაშში.

დავსძენთ, რომ საწარმოში სულ 214 კაცი მუშაობს, მათგან 165 ფიზკულტურელია, 185 კი — „განთიადის“ წევრი. ახლა ქარხანაში 80-ზე მეტი თანრიგოსანი და 20-მდე საზოგადოებრივი აქტივისტი შრომობს. სწორედ მათი ნაყოფიერი საქმიანობის შედეგია ჩვენ-ლა ის წარმატება, რომელთაც კოლექტივი საზოგადოებრივ საწყისებზე აღწევს.

**თ. ბაჩეჩილაძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

სამტრედია.

## [illegible]

### ხაშური

„განთიადის“ რაისაბჭოს მესვეურებმა დიდი მგოსნისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის 800 წლისთავის აღსანიშნავად მოაწყეს შეჯიბრებები ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და შაშში. ფეხბურთელთა ტურნირისთვის კი რაისაბჭომ დაწესა რუსთაველის სახელობის თასი, რომლის პირველი მფლობელი გახდა საკონსერვო ქარხნის გუნდი.

**ზ. მოსეშვილი.**

### აბაშა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს მიეძღვნა მოტოგადარბენა აბაშა — გეგეჭკორი — წულუკიძე — აბაშა, რომელიც დოსააფის რაიონულმა კომიტეტმა ჩაატარა.

**ი. თოფურია.**

### სამტრედია

20 დღეს მიმდინარეობდა „განთიადის“ რაიონული პირველობა ფეხბურთში. შეჯიბრებაში გაიმარჯვა „საქჩაის“ მექანიკური ქარხნის გუნდმა. II ადგილზე არიან ხე-ტყის გადამმუშავებელი კომბინატის ფეხბურთელები.

**მ. გაბუა.**

### საჩხერე

„კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარის თ. ლაშხის ხელმძღვანელობით ამას წინათ მოეწყო სოფელ საირხის საშუალო სკოლის ტურისტული ჯგუფის „კოცონის“ ლაშქრობა ერწოს ტბაზე. ამ საინტერესო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ IX-X კლასების მოსწავლეები და მასწავლებლები.

**ა. ანასაშვილი.**



ამას წინათ კიევში გაიმართა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ათჭიდში. ორდღიან ტურნირში გაიმარჯვა თბილისელმა სპორტის ოსტატმა ი. დიაჩკოვმა, რომელმაც 7520 ქულა მოაგროვა. ჩემპიონის მაჩვენებლები ცალკეულ სახეობებში ასეთია: 100 მეტრზე რბენა — 11,5; სიგრძეზე ხტომა — 689; ბირთვის კვრა — 15,35; სიმაღლეზე ხტომა — 188; 400 მეტრზე რბენა — 50,0; 110 მეტრზე თარჯრბენი — 15,0; ბადროს ტყორცნა — 43,53; ჭოკით ხტომა — 410; შუბის ტყორცნა — 51,22; 1500 მეტრზე რბენა — 4.42,2.

სურათზე: ი. დიაჩკოვი ჭოკით ხტომის დროს.

# პირველი საშემოდგომო

## კუს ტბის მიდამოებში

კუს ტბის მიდამოები კარგა ხანია იქცა კროსმენთა საყვარელ ადგილად. ამჯერადაც აქ შეიკრიბნენ სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მძლეოსნური კროსის მონაწილენი.

სტარტზე 59 სპორტსმენი გამოვიდა.

ახალციხელმა ჭაბუკმა ა. მიქოიანმა ორგზის გამარჯვება იზეიმა: მან ჯერ 1.000 მეტრზე რბენა მოიგო (2.59,1), მერე კი — 2.000 მეტრზე — 6.54,0.

ორი გამარჯვება მოიპოვა გორელმა ა. მოსულიშვილმაც. ვაჟთა შეჯიბრებაში იგი პირველი იყო 2.000 მეტრზე (6.18,8) და 5.000 მეტრზე (19.37,0) რბენაში.

გოგონებში თავი ისახელეს ახალციხელებმა ლ. ბელოვამ (500 მ — 1.45,2) და ა. ბერიძემ (1.000 მ — 4 წუთი). 1 კილომეტრზე ქალთა რბენაში პირველი იყო გურჯაანელი ლ. მეფარიშვილი — 4.00,8.

ამ კარგად მოწყობილ შეჯიბრებას, სამწუხაროდ, მაყურებელი არ ჰყავდა, ვინაიდან ასპარეზობას ორგანიზატორებმა თავი არ შეიწუხეს არც ქალაქში აფიშების გამოკვრითა და არც პრესის მუშაკების გაფრთხილებით.

**ვ. ბუკინი.**

# საიუბილეო

ქუთაისი (ჩვენი კორ.). ქალაქის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი X საქალაქო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია 24 სახეობა.

უკვე დამთავრდა ტურნირი ცურვაში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში, წყალბურთსა და ჭადრაკში.

ცურვაში I ადგილი დაიკავა განათლების განყოფილების გუნდმა. აკადემიურ ნიჩბოსნობასა და წყალბურთში გაიმარჯვეს „განთიადის“ წარმომადგენლებმა (წყალბურთელებმა ფინალში სძლიეს განათლების განყოფილების გუნდს — 5:4). ჭადრაკში პირველობა არავის დაუთმო „სპარტაკმა“ — 34 ქულა. მას 4 ქულით ჩამორჩა II ადგილზე გასული „განთიადი“.

საერთო გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა „განთიადი“.

# ახალი წიგნები

## ამეტყველებული წარსული

ჩვენი საზოგადოებრიობა მ. ვადბოლსკის იცნობს, როგორც ჭადრაკის წარსულის ნიჭიერ მკვლევარსა და მხატვარს. ამ შეხედულებას კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი წიგნი „მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები ჭადრაკის ისტორიაში“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966 წ., რედაქტორი ი. ყიფიანი), რომელიც „ლელოს“ ბიბლიოთეკის“ სერიით გამოაცა.

მ. ვადბოლსკიმ თითქმის ყველა დროის დიდი მოაზროვნისა და მოღვაწის ჭადრაკით გატაცების ამბავი შეკრიბა და ცალკე წიგნად წარმოგვიდგინა მათ პორტრეტებთან ერთად, რომლებიც თავად დახატა. „ჩვენს მცირე შრომას პრეტენზია არა აქვს სრული და ამომწურავი იყოს“, წერს ავტორი და მაინც, ეს ნაშრომი ძალიან საინტერესოა.

წიგნი, შეიძლება ითქვას, ოთხი ნაწილისგან შედგება, თუმცა, ავტორი ამას არსად აღნიშნავს. დასაწყისში იგი გვიამბობს როგორ უყვარდათ ჭადრაკი ზოგადსაკაცობრიო კულტურის დიდ წარმომადგენლებს — ფირდოუსს, სპინოზას, ნიუტონს, რემბრანდტს, სერვანტესს, რობესპიერს, ფრანკლინს, გოეთეს, ბეთჰოვენს, შოპენს და მოჰყავს მათი აზრი ამ თამაშზე.

შემდეგი „ნაწილი“ რუსეთის სახელმწიფო და კულტურის მოღვაწეებს — პეტრე I, სუვოროვს, ლომონოსოვს, პუშკინს, ლერმონტოვს, ტოლსტოის, ტურგენევს, მენდელეევს, პოპოვს, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს, ვერეშჩაგინს, პროკოფიევს და სხვებს ეთმობათ.

მესამე „ნაწილში“, რომელსაც წინ უძღვის საქართველოში ჭადრაკის განვითარების ისტორიის მოკლე მიმოხილვა, თავმოყრილია არჩილ მეფის, სულხან-საბა ორბელიანის, თეიმურაზ II, ბატონიშვილ გიორგის ნაწარმოებებიდან ამოკრებილი, ჭადრაკისადმი მიძღვნილი სტრიქონები.

ბოლოს წიგნს დართული აქვს ავტორის წერილები: „ქალები ჭადრაკის ისტორიულ წარსულში“, „ცოცხალი ჭადრაკის“ შესახებ“, „ჭადრაკის ფიგურების ისტორიიდან“.

საერთოდ, მ. ვადბოლსკის ნაშრომი შეიცავს ბევრ საყურადღებო ცნობას, რაც, სამწუხაროდ, ხშირად ძალზე ძუნწადაა გადმოცემული. ალბათ, ამიტომ წერს ავტორი წიგნის შესავალში „ეს მხოლოდ მოკრძალებული მცდელობაა მომავალი დიდი ტილოსი, რომელიც დაიწერება მსოფლიოს კულტურის გამოჩენილ ადამიანთა დამოკიდებულებაზე ჭადრაკის მიმართ“.

**თ. გიორგაძე.**




# ჩვენს მეგობარ რესპუბლიკებში

### „მოლდოვა“ სამსახურში ჩადგა

კიშინიოველებს განზრახული აქვთ შექმნან სპორტისა და დასვენების ვრცელი ზონა, რომლის პირველი კომპლექსი — „მოლდოვა“ სახელმწიფო კომისიამ უკვე მიიღო საექსპლოატაციოდ.

„მოლდოვა“ 2 „განყოფილებისაგან“ შედგება: ერთი — ზამთრის საცურაო აუზი, მეორე — რესპუბლიკაში უდიდესი სპორტული დარბაზი. მალე მოედანზე, რომლის ფართობიც 60 ჰექტარს უდრის, დაიწყება ჯერ მძლეოსნური მანეჟის, შემდეგ კი ველოტრეკისა და სტადიონის მშენებლობა. სპორტული ზონის გვირგვინია სპორტის სასახლე, რომელიც 6 ათას კაცს დაიტევს.

კიშინიოვი.

### ახალი კომპლექსი

ლუგანსკის ოლქის რაიონულ ცენტრ ბელოვოდსკში მწყობრში ჩადგა დიდი სპორტული კომპლექსი. ყოფილ ტრამალზე, 5 ჰექტარზე განლაგდა სტადიონი, სპორტული დარბაზი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტები. ყოველივე ეს სახალხო მშენებლობის მეთოდით შეიქმნა.

საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისთვის ასეთი კომპლექსები ოლქის ყველა რაიონულ ცენტრსა და დიდ სოფლებში აიგება.

ლუგანსკი.

# რატომ ღელავს

ლიდია ალექსეევა ღელავს: 2 ოქტომბერს რუმინეთში დაიწყება ევროპის კალათბურთელ ქალთა ჩემპიონატი და იგი, ალექსეევა — კონტინენტის შვიდგზის ჩემპიონის, სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელია.

1950 წელს სსრ კავშირის ნაკრებმა პირველად მიიღო მონაწილეობა ევროპის ჩემპიონატში. წლევანდელი ტურნირი მისთვის მეცხრეა. გასულ 8 ჩემპიონატში გუნდმა წააგო მხოლოდ 1 მატჩი — 8 წლის წინ პოლონეთში. ეს ერთადერთი მარცხი საბჭოთა კალათბურთელებს ოქროს მედლების ფასად დაუჯდათ. არც ამას ივიწყებს ალექსეევა, არ ივიწყებს იმიტომ, რომ ამ ტურნირში იგი, სსრ კავშირის ნაკრების უცვლელი კაპიტანი და ოქროს 4 მედლის მფლობელი, პირველად მონაწილეობდა როგორც მწვრთნელი.

მკაცრად რომ მივყვეთ ფაქტებს, უნდა გვეთქვა არა „ღელავს“, არამედ „ალბათ, ღელავს“, რადგან ალექსეევას ხაზგასმით მშვიდად უჭირავს თავი.

შევხედოთ გუნდს მისი თვალით. ალექსეევამ კარგად იცის, რომ მის განკარგულებაში მყოფი ოთხივე ცენტრალური თავდამსხმელი საკმაოდ ძლიერია. რაველია პროკოპენკო (სალიმოვა) მსოფლიოში ყველაზე მაღალი კალათბურთელია (202 სმ), მაგრამ სსრ კავშირის ნაკრებს, პროკოპენკო რუმინეთში რომც არ წავიდეს, მაინც ყველაზე მაღალი ცენტრი ეყოლება — გალინა მადისონი მხოლოდ 5 სანტიმეტრითაა პროკოპენკოზე დაბალი. სიმაღლეს კალათბურთში დიდი, ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით, ქალთა შორის. ვაჟები უკმარი სიმაღლის კომპენსაციას ხტომით ახერხებენ.

სკაიდრიტე სმილძინია და სილვია კროდორე მეგობრებს სიმაღლეში ჩამორჩებიან. მაგრამ არა მგონია, ალექსეევამ უპირატესობა პროკოპენკოს ან მადისონს მიანიჭოს. კროდორე ბრწყინვალე თავდამსხმელია. რაც შეეხება სმილძინიას, ძნელი სათქმელია სად თამაშობს უკეთ, თავდასხმაში თუ დაცვაში. დარწმუნებული ვარ, მისი ბადალი კალათბურთელი მსოფლიოში არც ყოფილა და არც არის. ამასთან, სმილძინიას და კროდორეს კარგად ესმით ერთმანეთისა. ორივე მრავალი წელია რიგის ტტტ-ს სასტარტო ხუთეულში თამაშობს.

სსრ კავშირის ნაკრებს თავდამსხმელებიც კარგი ჰყავს. ლიუდმილა ბაზარევიჩი (კუკანოვა) და ფეოდორა ორიოლი გამოცდილი კალათბურთელები არიან: მათ რამდენიმე დიდი ტურნირი გაუვლიათ. ვფიქრობ, წლევანდელი ჩემპიონატი არც 27 წლის ლიუდმილასა და 24 წლის ფეოდორასთვის იქნება ბოლო ასპარეზობა. გალინა ვორონინას,

ფეხბურთი

# ოქტომბერში...

### „ა" კლასი, I ჯგუფი

**3.** „ტორპედო" (მოსკოვი) — ასკ (ოდესა).

**4.** „ნეფტიანიკი" — „პახტაკორი", „დინამო" (კიევი) — ცსკა, ასკ (როსტოვი) — „დინამო" (მოსკოვი), **„ლოკომოტივი" — „დინამო" (თბილისი)**, „დინამო" (მინსკი) — „კრილია სოვეტოვი", „ზენიტი" — „ჩერნომორეცი", „კაირატი" — „არარატი".

**8. ცსკა — „დინამო" (თბილისი).**

**9.** „კაირატი" — „შახტიორი", „არარატი" — „ზენიტი", **„კრილია სოვეტოვი" — „ტორპედო" (ქუთაისი)**, ასკ (ოდესა) — „ლოკომოტივი".

**10.** „სპარტაკი" — ასკ (როსტოვი).

**11.** „დინამო" (მოსკოვი) — „ჩერნომორეცი".

**13.** ცსკა — „პახტაკორი".

**14.** „შახტიორი" — „კრილია სოვეტოვი".

**15.** „კაირატი" — „დინამო" (მოსკოვი), მატჩი შედგება ქ. ომსკში, „დინამო" (მინსკი) — „არარატი" (მატჩი შედგება ქ. ძერჟინსკში), „სპარტაკი" — „ჩერნომორეცი".

**17.** „ტორპედო" (მოსკოვი) — „ნეფტიანიკი".

**18.** „ლოკომოტივი" — „პახტაკორი" (მატჩი შედგება ქ. ბარნაულში), ცსკა — „შახტიორი".

**19.** „სპარტაკი" — „ზენიტი".

**20.** „ჩერნომორეცი" — „კრილია სოვეტოვი", „კაირატი" — ასკ (ოდესა), **„დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი)**, „დინამო" (მინსკი) — ასკ (როსტოვი).

**21.** „ტორპედო" (მოსკოვი) — „არარატი".

**22.** „ლოკომოტივი" — „სპარტაკი".

**25.** „ლოკომოტივი" — „დინამო" (მინსკი).

**26.** „არარატი" — „სპარტაკი" (მატჩი შედგება ქ. ნალჩიკში), „პახტაკორი" — ასკ (ოდესა), „დინამო" (კიევი) — „კაირატი", **„დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი)**, „კრილია სოვეტოვი" — „ზენიტი", ასკ (როსტოვი) — ცსკა, **„დინამო" (მოსკოვი) — „ტორპედო" (ქუთაისი)**, „ჩერნომორეცი" — „შახტიორი" (მატჩი შედგება ქ. ნიკოლაევში).

**30. „ტორპედო" (ქუთაისი) — „ტორპედო" (მოსკოვი)**, „შახტიორი" — „ნეფტიანიკი", ასკ (როსტოვი) — „კრილია სოვეტოვი" (მატჩი შედგება ქ. ვოლჟსკში), „სპარტაკი" — „დინამო" (მინსკი), „ზენიტი" — „კაირატი", „პახტაკორი" — „დინამო" (კიევი).

**31.** ცსკა — „ლოკომოტივი".

### სსრ კავშირის თასი

ნახევარფინალები: **7.** „ჩერნომორეცი" — „ტორპედო" (მოსკოვი). მატჩი შედგება ლენინგრადში.

**9.** „დინამო" (კიევი) — „დინამო" (მინსკი). მატჩი შედგება თბილისში.

### საერთაშორისო მატჩები

**5.** „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ოფკ ბელგრადი". ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე.

**12.** „ტორპედო" (მოსკოვი) — „ინტერნაციონალე" (მილანი). ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე.

**16.** სსრ კავშირი (ნაკრები) — თურქეთი (ნაკრები). მატჩი შედგება მოსკოვში.

**23.** სსრ კავშირი (ნაკრები) — გდრ (ნაკრები). მატჩი შედგება მოსკოვში.

### „ა" კლასი

#### II ჯგუფი, I ქვეჯგუფი

**6. „დინამო" (ბათუმი) — „თერგი" (გროზნო), „დინამო" (სტავროპოლი) — „ლოკომოტივი" (თბილისი)**, „დინამო" (კიროვაბადი) — „შირაკი" (ლენინაკანი), „სპარტაკი" (გომელი) — „დაუგავა" (რიგა), „ყუბანი" (კრასნოდარი) — „დინამო" (ტალინი), „რუბინი" (ყაზანი) — „როსტსელმაში" (როსტოვი), „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) — „ბალტიკა" (კალინინგრადი), „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო).

**11. „დინამო" (ბათუმი) — „დინამო" (კიროვაბადი), „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „ლოკომოტივი"**, „შირაკი" — „დინამო" (სტავროპოლი), „ყუბანი" — „დაუგავა", „ტრაქტორი" — „დინამო" (ტალინი), „ჟალგირისი" — „ბალტიკა", „რუბინი" — „სპარტაკი" (გომელი), „როსტსელმაში" — „ტექსტილშჩიკი".

**16.** „დინამო" (კიროვაბადი) — „დინამო" (სტავროპოლი), „დაუგავა" — „სპარტაკი" (ნალჩიკი), **„ლოკომოტივი" — „დინამო" (ბათუმი)**, „თერგი" — „ყუბანი", „ტრაქტორი" — „ჟალგირისი", „როსტსელმაში" — „სპარტაკი" (გომელი), „დინამო" (ტალინი) — „ტექსტილშჩიკი", „ბალტიკა" — „რუბინი".

**21. „დინამო" (ბათუმი) — „როსტსელმაში"**, „დინამო" (კიროვაბადი) — „თერგი", „ყუბანი" — „შირაკი", „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „ტრაქტორი", „დინამო" (ტალინი) — „ბალტიკა", „დაუგავა" — „ტექსტილშჩიკი", **„ლოკომოტივი" — „რუბინი"**, „სპარტაკი" (გომელი) — „ჟალგირისი".

### „ბ" კლასი

#### რსფსრ-ს IV ზონა

**(ჩვენი რესპუბლიკის გუნდებისთვის)**

**4.** „ენგური" (ზუგდიდი) — „მეტალურგი" (რუსთავი), „კოლხიდა" (ფოთი) — „ალაზანი" (გურჯაანი), „დინამო" (სოხუმი) — „დილა" (გორი), „მეშახტე" (ტყიბული) — „სპარტაკი" (კისლოვოდსკი).

**8.** „ენგური" — „ალაზანი", „კოლხიდა" — „მეტალურგი", „დინამო" (სოხუმი) — „მეშახტე", „დილა" — „სპარტაკი" (კისლოვოდსკი).

**12.** „მეტალურგი" — „დინამო" (სოხუმი), „დილა" — „ენგური", „მეშახტე" — „კოლხიდა", „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) — „ალაზანი".

**16.** „ალაზანი" — „დინამო" (სოხუმი), „დილა" — „კოლხიდა", „მეშახტე" — „ენგური", „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) — „მეტალურგი".

## მოყვარულთა კლუბი

გორში დიდი პოპულარობით სარგებლობს ფეხბურთი. ამის ნათელი დამადასტურებელია თუნდაც ის, რომ აქ ჩამოყალიბდა ფეხბურთის მოყვარულთა კლუბი. კლუბის წევრებს მიეცათ საწევრო წიგნაკები, შემუშავებულია დებულება, რომელიც დაისტამბა და პატარა ბროშურის სახით დაურიგდა მის წევრებს.

გორელ გულშემატკივართა თაოსნობა მისაბაძია.

**დოცენტი ბ. ჩიტაია.**



როგორც უკვე ვიტყობინებოდით, სამტრედიაში, საკავშირო ჩემპიონატის მატჩი თბილისის „დინამოსა" და „ლოკომოტივის" რეგბისტთა შორის ფრედ (3:3) დამთავრდა. დავუმატებთ მხოლოდ, რომ მე-20 წუთზე ანგარიში გახსნა გ. ტონიამ („ლოკომოტივი"), ხოლო შეხვედრის დამთავრებამდე მცირე ხნით ადრე კი ი. კიზირიამ ანგარიში გაათანაბრა.

სურათზე: თბილისის „დინამოსა" და „ლოკომოტივის" გუნდების შეხვედრის მომენტი.

ფოტო ვ. სელივესტროვისა.

## ახალი ამბები

● **მალმე**, 28 სექტემბერი. აქ გაიმართა სსრ კავშირისა და შვეციის მოტოციკლისტთა შეჯიბრება წიდიან ბილიკზე. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ — 54:42. ყველაზე კარგი შედეგები ჰქონდათ ი. პლეხანოვსა (უფა) და შვეციელ ლ. ენგკრუნს — 14-14 ქულა.

● **ბუდაპეშტი, 28 სექტემბერი.** ახლო წარსულში მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ბადროსნტყორცნელის, უნგრელი ი. სეჩენის სრულუფლებიან მიმდევრად მიიჩნევენ მის თანამემამულეს, 21 წლის დ. ფეხერს. აქ გამართულ შეჯიბრებებში ამ ახალგაზრდა ათლეტმა ბადრო 59,02 მეტრზე ტყორცნა. მსოფლიო რეკორდსმენმა დ. ჟივოცკიმ ურო 70,04 მეტრზე ტყორცნა, ხოლო ევროპის ჩემპიონმა ვ. ვარიუმ ბირთვი 19,48 მეტრზე კრა. ბადროს ტყორცნაში ქალებმაც ისახელეს თავი. საუკეთესო შედეგი ჰქონდა ი. კლეიბერნეს — 55,50 მ.

● **უჟგოროდი**, 28 სექტემბერი. აგერ მესამე წელია ზედიზედ, რაც სამი მეზობელი ოლქის — იმიერკარპატეთის (სსრ კავშირი), საბოლჩ-სატმარსკიასა (უნგრეთი) და აღმოსავლეთ სლოვაკიის (ჩეხოსლოვაკია) ფრენბურთელები სექტემბერში მეგობრობის თასს ეცილებიან ერთმანეთს. მეტოქე-მეზობლები ამჯერად უჟგოროდში შეხვდნენ ერთმანეთს. თასი მოიპოვეს მასპინძლებმა. ამ საინტერესო შეჯიბრებას ადგილობრივ მოყვარულთა გარდა თვალს ადევნებდნენ ჩეხოსლოვაკიელი და უნგრელი ტურისტები.

● **დუვრი** (ინგლისი), 28 სექტემბერი. მყვინთავის მსუბუქ ტანსაცმელში გამოწყობილმა ექვსმა ბელგიელმა აქვალანგისტმა-სპორტსმენმა გადასცურა ლა-მანში წყალქვეშ. ამ მამაცმა ადამიანებმა 35 კილომეტრის დაფარვას 15 საათი და 22 წუთი მოანდომეს. მხოლოდ ერთი, მეშვიდე მონაწილე, იძულებული იყო შეეწყვიტა ცურვა, ვინაიდან მას ზღვის ავადმყოფობამ შეუტია.

## სწორად ამოხსნეს

ჩვენი გაზეთის 11 სექტემბრის ნომერში მოთავსებული რ. თავარიანის საჭადრაკო ამოცანა სწორად ამოხსნეს: მ. ფარცხალაძემ (ზესტაფონი), ა. ესებუამ (რუსთავი), ბ. ჭკადუამ (სოხუმი) და მ. თევზაძემ (თბილისი).

ამოცანის ამოხსნაა: 1. ... ლd2.

21 სექტემბრის ნომერში დასტამბული შ. ადეს ამოცანა ამოხსნეს: ა. ყურაშვილმა (ბათუმი) და ბ. გიგაშვილმა (ქარელის რაიონი, სოფ. რუისი).

აი, ამოხსნაც: 1. გმე c3 2. ეg2 მფa1 3. მფc1 a2 4. კ:c3×.

## ასტრონომიული ანგარიშით

სამტრედია, 30 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). [illegible] გაიმართა მორიგი მატჩი [illegible] პირველობაზე [illegible] გუნდებს შორის. თბილისის ჩემპიონის — „დინამოს" წინააღმდეგ თამაშობდა სომხეთის ჩემპიონი — ერევნის „დინამო". რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა ი. დანილენკომ (მოსკოვი) შეხვედრის დაწყების ნიშანი მისცა და თბილისელებმა უმალვე ენერგიულად შეუტიეს მეტოქეს, ხელთ იგდეს ბრძოლის სადავეები და პირველსავე ტაიმში „მოსრეს" სტუმრები — 32:0.

შესვენების შემდეგ უპირატესობა ისევ თბილისელი რეგბისტების მხარეს იყო, თუმცა ახლა ერევნელებმაც ერთგვარად გარდაქმნეს თამაში და ბრძოლამ დაძაბული ხასიათი მიიღო. მეორე ტაიმში თბილისის დინამოელებმა კიდევ 24 ქულა მოიპოვეს, ერევნელებმა კი მხოლოდ — 6. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 56:6.

გამარჯვებული კოლექტივიდან ყველაზე შედეგიანი იყო გუნდის კაპიტანი ი. კიზირია: მან გუნდს 32 ქულა შესძინა. სტუმრების მიერ მოპოვებული ექვსივე ქულის ავტორია ვ. სავჩენკო.

ქვეჯგუფში ბოლო შეხვედრა გაიმართება 1 ოქტომბერს: ითამაშებენ ერევნის „დინამო" და თბილისის „ლოკომოტივი". ეს მატჩი გამოავლენს ფინალისტს. თბილისის „დინამოს" უკვე 3 ქულა აქვს, „ლოკომოტივს" — 1, ერევნის „დინამოს" — არც ერთი.

**ჯ. ვაშაკიძე.**

## კანდიდატთა „ციებ-ცხელება"

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობს დედაქალაქის უძლიერეს ოსტატობის კანდიდატთა შესარჩევი ტურნირი, რომლის IV და V ტურებმა კიდევ უფრო გაამწვავეს ბრძოლა ამიერკავკასიის მოჭადრაკეთა ტურნირის საგზურისთვის.

IV ტურში მხოლოდ 2 პარტია დამთავრდა: მ. თხელიძე — ჰ. არნშტეინი და ე. მიქაელიანი — ს. ჩეჩელიანი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენ მეტოქეებს შედეგის გასარკვევად ხუთსაათიანი ბრძოლა არ ეყოთ.

V ტურში მ. თხელიძემ სძლია ა. კირვალიძეს. ს. მეგრელიშვილი, რომელიც აშკარად არ არის სპორტულ ფორმაში, მეოთხედ დამარცხდა, ამჯერად, ო. ელიოზიშვილთან. ე. უბილავასა და გ. ციხელაშვილის შეხვედრა დაზავებით დამთავრდა. 3 პარტია გადაიდო.

5 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: ს. ჩეჩელიანს 3 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, გ. ციხელაშვილს, ო. ელიოზიშვილსა და მ. თხელიძეს — 2,5-2,5 ქულა და თითო გადადებული პარტია, ე. უბილავას — 2 ქულა და 2 გადადებული პარტია, ე. მიქაელიანს — 2 ქულა და 1 გადადებული პარტია.

**თ. ნინოშვილი.**

## ახალ ამპლუაში

**ორჯონიკიძე (ჩვენი სპეც. კორ.).** სსრ კავშირში სტუმრად მყოფმა ირანის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა ბოლო შეხვედრა აქ გამართა. უნდა ითქვას, რომ სტუმრებმა ტურნეში განახლებული შემადგენლობა გამოგზავნეს. როგორც ჩანს, ირანის ჭიდაობის ფედერაცია აქედანვე შეუდგა მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის სამზადისს. ირანელთა შორის არ იყვნენ ხალიჩის სახელმოხვეჭილი ოსტატები, მაგრამ „ახალბედებმაც" კარგი შთაბეჭდილება დატოვეს როგორც ტექნიკური, ისე ფიზიკური მომზადების მხრივ.

მატჩი გაიხსნა უმჩატესი წონის ათლეტთა — ალიბეგაშვილისა და გოლზადის ორთაბრძოლით. შეუპოვარი და უშედეგო ბრძოლის მიუხედავად ვერც ერთმა ვერ შეძლო ილეთის გაკეთება და მსაჯთა ბრიგადამ ფრე აღნიშნა.

მჩატე წონის ერევნელმა მოჭიდავე მალიანმა ქულებით სძლია პადორს.

ლამაზი და ეფექტური გამოდგა ქვემსუბუქი წონის ათლეტთა — თედეევისა და გამოცდილი გელიკხანის შერკინება. საბჭოთა მოჭიდავემ პირველ წუთზე აღებული მაღალი ტემპი შეხვედრის ბოლომდე შეინარჩუნა და ირანელი ილეთთა მრავალფეროვნებით გააბრუა. როდესაც ბრძოლა დამთავრდა, თედეევს 10 სრულფასოვანი ქულა აღმოაჩნდა, გელიკხანს კი — არც ერთი.

ერთადერთი გამარჯვება სტუმრების გუნდს მსუბუქი წონის ათლეტმა მომენმა მოუტანა. მან ქულებით მოუგო ორჯონიკიძელ ყურულს.

შეუპოვარი და საინტერესო გამოდგა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის სალარაძის ორთაბრძოლა ფიზიკურად ძლიერ ტიხამისთან (ქვესაშუალო წონა). ქართველი ქულებით გამარჯვებას დაჯერდა.

საშუალო წონაში ერთმანეთს შეხვდა ორი დებიუტანტი. ჩვენი გუნდის ღირსებას სტრახოვი იცავდა, სტუმრებისას კი — გალბოლა. საბჭოთა ათლეტი უფრო აქტიური იყო და მსაჯებმა უპირატესობა მას მიანიჭეს.

ქვემძიმე წონის ათლეტებმა ანდიევმა და სახრაიმ ქულა სანახევროდ გაიყვეს.

გუნდის ინტერესების გამო მძიმე წონაში გადავიდა სსრ კავშირის ჩემპიონი ქვემძიმე წონაში ლომიძე. მან ლამაზი ილეთით ბეჭებზე დასცა ირანელი ესხაგი. სხვათა შორის, ეს იყო ერთადერთი წმინდა გამარჯვება მატჩში.

სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 6:2 დაამარცხა ირანის გუნდი.

## მწვრთნელი

ნაკრების მესამე თავდამსხმელს, მხოლოდ გამოცდილება აკლია. ევროპის ჩემპიონატი მისთვის პირველი ოფიციალური ტურნირია. ბრწყინვალე ფიზიკური მონაცემებით (190 სმ გალინას ცენტრალურ თავდამსხმელად თამაშის საშუალებას აძლევს) და შემტევი, აგრესიული თამაშისკენ ლტოლვით იგი კორნეევს ჩამოჰგავს. გალინა დარწმუნებულია თავის ძალაში, ეს კი სავსებით ანაზღაურებს მის გამოუცდელობას. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს ალექსეევა.

ასეთი თავდამსხმელებით და, განსაკუთრებით, ცენტრალური თავდამსხმელებით, მომავალს ოპტიმისტურად უნდა შევხვდეთ, მით უმეტეს, რომ დაცვაში აგერ თითქმის 10 წელია თამაშობს 2 ექსტრა-კლასის კალათბურთელი — ნინა პოზნანსკაია და რაისა მიხაილოვა. საიმედონი არიან, აგრეთვე, თამარ სლიდენკო, ნელი ფომინიხი და ლაიმა იუკელენე.

სსრ კავშირის 1966 წლის ნაკრები უფრო ძლიერია, ვიდრე 1964 წლისა. 2 წლის მანძილზე გუნდი გაიზარდა და ცვლილებებმაც მხოლოდ სარგებლობა მოუტანა მას. მადისონიც, ვორონინაცა და იუკელენეც თავიანთ წინამორბედებზე უკეთ თამაშობენ.

1964 წლის ნაკრებმა საკმაოდ იოლად მოიგო ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები. და რაკი წლევანდელი ნაკრები მასზე ძლიერია, გამოდის, რომ...

თუმცა, არა. სპორტი ლოგიკის სახელმძღვანელო არ არის. 1958 წელს სსრ კავშირის ნაკრები, საერთო ალიარებით, ყველა მეტოქეზე ძლიერი იყო. ასე ამბობდნენ სპეციალისტები ჩემპიონატამდე, ასე ამბობდნენ ჩემპიონატის დროს და მისი დამთავრების შემდეგაც, მაგრამ მაშინ საბჭოთა გუნდი ევროპის ჩემპიონი ვერ გახდა. რა გარანტიაა, რომ ამჯერადაც ყველაფერი ლოგიკურად წარიმართება და პირველობასაც სწორედ ის კოლექტივი მოიპოვებს, რომელიც ყველაზე მეტად არის ამის ღირსი.

და კიდევ ერთი საკითხი: არის თუ არა სსრ კავშირის ნაკრები მეტოქეებზე ძლიერი? ის, რომ საბჭოთა კალათბურთელები ყველას ჯობდნენ 1964 წელს, უდავოა! მაგრამ მას შემდეგ ხომ 2 წელი გავიდა და ბევრი რამ შეიცვალა. ვიდრე ოზიმეკი ოზიმეკი გახდებოდა, ჩასლავსკა — ჩასლავსკა, ხოლო პელე — პელე, მათ არავინ იცნობდა. ვარსკვლავები „დაუკითხავად" მოდიან.

სსრ კავშირის ნაკრებს მთელი წელია ევროპის უძლიერეს კლუბებთან ამხანაგური მატჩიც კი არ გაუმართავს. უფრო მეტიც: არც კალათბურთელებმა და არც მწვრთნელებმა იციან როგორ თამაშობენ მათი მთავარი მეტოქეები. ასე რომ, როგორც ხედავთ, ლიდია ალექსეევას ღელვის საფუძველი ჰქონია.

**ა. პინჩუკი.**

# წარწერა სურათზე



არ მახსოვს, სად არის გადაღებული ეს სურათი. იქნებ ბერლინში, 1964 წლის გაზაფხულზე, ან, იქნებ, ტოკიოში, იმავე წლის შემოდგომით. არა, მაგონდება: ეს იყო ევროპის იმ განაპირა ქალაქში, ესოდენ იშვიათი მასპინძელი რომ არის საბჭოთა ადამიანისა. მოგონებებს მადრიდს გადავყავარ.

სამი მეგობარი: ფარნაოზ ჩიკვილაძე, ანზორ კიკნაძე, ანზორ ქიბროწაშვილი! ევროპის სამი უძლიერესი ფალავანი. ჩვენს დროში მათ ჩემპიონებს უწოდებენ. ეს სამი ბრწყინვალე მოჭიდავე ევროპას რუსთაველის მიწამ მისცა. იმ რუსთაველისა, ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის მეგობრობის სადიდებელი რომ იმღერა.

„ვეფხისტყაოსანში" არის ერთი აფორიზმი, რომლის აზრსაც ყველა ქართველი თითქმის აკვნიდანვეა ნაზიარები სწავლობს პირველ სიტყვასთან ერთად — „დედა"... სწავლობს იმ ძველთაძველ სიმღერასთან ერთად, „მოდი, ვნახოთ ვენახი" რომ ჰქვია.

აი, ეს აფორიზმი: „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია".

ეს არის უპირველესი ცხოვრებისეული სიბრძნე, რომლის მადლიც აღრეული ბალღობიდან სიცოცხლის გზის დასალიერამდე არ სტოვებს ქართველ კაცს და იგი ღრმა სიბერეში ფეხშედგმულიც მადლობელია რუსთაველისა ამ სიბრძნისათვის.

... მადრიდი ეჭვნარევი სიფრთხილით, არც თუ დიდად მეგობრულად, შეხვდა სტუმრებს. ჩვენი ძიუდოისტები თვითმფრინავიდან რომ გადმოვიდნენ, ყველა ფოტორეპორტიორმა შეთქმულივით დაუშვა აპარატი. გაზეთები უმოწყალოდ ამახინჯებდნენ გვარებს: ქიბროწაშვილის მაგიერ, მაგალითად, „ქიროილს" წერდნენ. რა ვქნათ, როგორ ვასწავლოთ ამ ხალხს გვარების სწორად წერაო? — იკითხა ბიჭებიდან რომელიღაცამ.

მათში უფროსი ანზორ კიკნაძე იყო, ოფიცერი. იგი უფროს ძმად მიაჩნდათ. მეორე — ფარნაოზ ჩიკვილაძე, გეოგრაფი. მან ბევრი ქვეყანა შემოიარა, ბევრი რამ ნახა, უფრო მეტი აწი უნდა ენახა. ყველაზე უმცროსი, ანზორ ქიბროწაშვილი კი — ფიზიკოსი, გორელი პედაგოგი.

...ზოგნი მეგობრობაში გამორჩენას ეძებენ. პირზე მხოლოდ ეს აკერიათ: თუ ჩემთან მეგობრობა გსურს, ესა და ეს პატივი მეცი სამაგიეროდო. ოდესმე ასეთებს ხალხი ყბად აიღებს და თითით საჩვენებელს გახდის, როგორც გამონაკლის სიმახინჯეს ადამიანთა შორის. დღესდღეობით კი ისინი მრავლად ტრიალებენ ჩვენს გარშემო... ზოგნიც თავგამოდებით ლამობენ გამორჩენილ ადამიანებთან დამეგობრებას. ასეთ „მეგობრობას" პირფერობა უდევს საფუძვლად. ამ ჯურის ხალხს სახეზე მუდამ ეს აწერია: „რას ინებებდით?"

ერთი სახელგანთქმული თბილისელი ფეხბურთელი ასეთმა მეგობრებმა გააუბედურეს. ერიდეთ პირფერებს!

...ანზორს, ფარნაოზსა და უმცროს ანზორს წესად მიაჩნდათ: მხოლოდ სიმართლე ეთქვათ ერთიმეორისთვის. მათ არაფერი ჰქონდათ ერთმანეთისგან დაფარული. მეგობრები მუდამ სასურველი სტუმრები იყვნენ საქორწილო სუფრისა, დღეობებში. სასმელის აკრძალვა მოჭიდავეთა წესია, მაგრამ ერთხელ, ქორწილში, ანზორ კიკნაძე მაინც შეიქნა იძულებული სულის ერთი მოთქმით დაეცალა ღვინით პირთამდე სავსე ხილის ვაზა. ფარნაოზმა არ მოუწონა, მაგრამ ისე უთხრა სათქმელი, უფროს მეგობარს რომ არ სწყენოდა. უმცროსი ანზორი იცინოდა: ის კაცი, კიკნაძესთან ღვინის სმაში გაჯიბრება რომ გადაწყვიტა, მაგიდის ქვეშ იპოვეს სწორედ იმ საბედისწერო ვაზის შემდეგ. არ მახსოვს ფარნაოზს ღვინო დაელიოს. იგი ყველაფერს განსაკუთრებული სერიოზულობით ეკიდებოდა. ჭიდაობა, მოჭიდავის სახელი მისთვის ყველაფერს ნიშნავდა. სარბიელზე გასვლის წინ, სადაც უნდა ყოფილიყვნენ, უთუოდ მოითათბირებდნენ, რა ტაქტიკას დავადგეთო. ვიდრე მეტოქეებს შეერკინებოდნენ, ჯერ ერთიმეორეს გაამხნევებდნენ, — „აბა, ქართველებო!"

ბერლინში უფროსმა ანზორმა და ფარნაოზმა ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს. ქიბროწაშვილმა ორჯერ გამოიყენა ქართული ჭიდაობის კლასიკური ილეთი — შუაკაური და... შეხვედრა, რომელსაც იგებდა, წაგებულად ჩაუთვალეს. ფარნაოზი ისე წუხდა, თითქოს თავად დაესაჯათ. კიკნაძემ ფილოსოფიურად შენიშნა — ცხოვრება წინ არისო. ამ სამ ადამიანს სიხარულიც ერთი ჰქონდა და მწუხარებაც. ერთ ოთახში ეძინათ, ერთად სადილობდნენ. თუ ერთად არ იყვნენ, რაღაც აკლდათ, ვერ ისვენებდნენ. ტოკიოში ანზორმა და ფარნაოზმა ბრინჯაოს ოლიმპიური მედლები დაისაკუთრეს. ქიბროწაშვილი იქ არ გამოსულა, მაგრამ მას მომავალი მართლაც წინ ჰქონდა.

...მსოფლიო ლიტერატურაში მამაკაცური მეგობრობის სიმბოლოდ ათოსის, პორთოსისა და არამისის სახელები იქცა. ამ სამმა მამაცმა ჭაბუკმა არ იცოდა რა იყო მარცხი და წუხილი, ისინი ყოველ დაბრკოლებას ერთი შეჭიდებით ამსხვრევდნენ... ასეთი მეგობრობა და ასეთი ცხოვრება წიგნის ფურცლებზე თუ შეგხვდება. ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი კი ათას განსაცდელს შეებნენ, სამშობლოდან გადახვეწილნი ბრძოლასა და ვარამში ამტკიცებდნენ თავიანთ ვაჟკაცობას, თავგანწირვას.

ჩვენს დროში ისევ ეს სამი ფალავანი მახსენდება...

აბა, კიდევ ერთხელ დახედეთ სურათს. მადრიდში, ქალაქში, სადაც არც ერთ საბჭოთა სპორტსმენს არ უზეიმია გამარჯვება, სამმა ქართველმა მოიპოვა ჩემპიონობა ყველაზე რთულ წონით კატეგორიებში. მათთან ერთად კვარცხლბეკზე ავიდნენ მოსკოველი, კიეველი, ლენინგრადელი სპორტსმენები მაგრამ კიკნაძე, ჩიკვილაძე და ქიბროწაშვილი იმ დღეთა ჭეშმარიტ გმირებად იქცნენ. მათ შესახებ გადასცემდა ტელევიზია, მათ უღებდნენ სურათებს, გაზეთებს კი უკვე აღარ ეშლებოდათ ქართველი სპორტსმენების გვარები.

* * *

დღეს ამ სამიდან ერთი ცოცხალი აღარ არის. ვწერ და ერთბაშად მოძალებული გულისტკივილი სტრიქონის დასრულებას მიშლის.

დაიღუპა ფარნაოზ ჩიკვილაძე. ამხანაგი, რომელიც მას ახლდა, მაშინვე მიეჭრა მისაშველებლად. სამწუხაროდ, მე არ ვიცნობდი მას. ნოდარ ყაჩმაზაშვილი წამითაც არ დაფიქრებულა, ისე გაწირა თავი... სწორედ ისევე, როგორც ფარნაოზი არად ჩააგდებდა საკუთარ სიცოცხლეს მეგობრისთვის.

იგი დიდებული მოჭიდავე იყო, სპორტის დამსახურებული ოსტატი. მე მინდა ქართველ ახალგაზრდობას მუდამ ახსოვდეს ფარნაოზ ჩიკვილაძისა და ნოდარ ყაჩმაზაშვილის სახელები.

ეს სურათი კი ახლაც ჩემს მაგიდაზე დევს. ბიჭი მეზრდება. მინდა იგი ამ სამ მეგობარს დაემგვანოს. მათებური ძლიერი მკლავი ჰქონდეს, მათებური ნებისყოფა და მეგობრისთვის გახსნილი გული.

ა. კიკნაძე.

# ფეხბურთი...

## ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე

მალმეში (შვეცია) ამავე სახელწოდების ადგილობრივმა გუნდმა მიიღო მადრიდის „ატლეტიკო". ესპანელთა თავდამსხმელებმა კარდონამ და ლუისმა თითო ბურთი გაიტანეს მასპინძელთა კარში. გაიმარჯვა „ატლეტიკომ" — 2:0, რომელიც 12 ოქტომბერს მადრიდში მიიღებს „მალმეს".

ლივერპულში ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისის ჩემპიონი „ლივერპული" და რუმინეთის წარმომადგენელი „პეტროლული" (პლოეშტი). ინგლისელებმა გამარჯვებას მიაღწიეს ანგარიშით 2:0 (გოლების ავტორები არიან სენტჯონი და კალაჰანი). 12 ოქტომბერს პლოეშტში გაიმართება განმეორებითი თამაში.

გლაზგოში შედგა მატჩი ადგილობრივ „სელტიკსა" და შვეიცარიის „ფკ ციურიხს" შორის. გაიმარჯვეს შოტლანდიელებმა — 2:0 (ბურთები გაიტანეს გემელმა და მაკ-ბრაიდმა). ამ გუნდების განმეორებითი მატჩი მოეწყობა ციურიხში 12 ოქტომბერს.

ბელგიის „ანდერლეხტს" პირველი მატჩი მოგებული ჰქონდა ფინეთის „ჰაკა ვალკეაკოსკისთან" — 1:0. ბელგიელებმა გაიმარჯვეს მეორე შეხვედრაშიც, რომელიც ბრიუსელში შედგა (2:0) და გათამაშების შემდეგ ტურში გავიდნენ.

ამსტერდამში ქვეყნის ჩემპიონი „აიაქსი" შეხვდა სტამბოლის „ბეშიქთაშს". გაიმარჯვეს ჰოლანდიელებმა — 2:0. განმეორებითი მატჩი შედგება 5 ოქტომბერს სტამბოლში.

მილანი. 70 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო ადგილობრივი „ინტერნაციონალესი" და მოსკოვის „ტორპედოს" მატჩს. მოწინააღმდეგეებმა ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს მატჩი: „ინტერნაციონალე" — სარტი, ბურგნიჩი, ფაკეტი, ბედინი, ლანდინი, პიკი, ჟაირი, მაცოლა, ვინიჩიო, სუარესი, კორსო; „ტორპედო" — კავაზაშვილი, ანდრეიუკი, შუსტიკოვი, სარაევი, ვორონინი, მარუშკო, ლენიოვი, ბრედნევი, დენისოვი, სტრელცოვი, მიხაილოვი.

მილანელთა მწვრთნელმა ე. ერერამ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მის გუნდს გეგმაში აქვს გამარჯვების მოპოვება 3 ბურთის სხვაობით, რათა გარანტირებულ იქნას საერთო წარმატება 2 მატჩის ჯამში. მაგრამ ტორპედოელებმა პირველივე წუთებიდან მძლავრი იერიშები შესთავაზეს „ინტერნაციონალეს". საფეხბურთო სეზონი იტალიაში სულ ახლახან დაიწყო და შესამჩნევი იყო, რომ „ინტერნაციონალეს" მოთამაშეები ჯერ კიდევ არ არიან ნამდვილ საბრძოლო ფორმაში.

პირველ ტაიმში ტორპედოელებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მეტოქის კართან. შესვენების შემდეგ უპირატესობა მასპინძელთა მხარეს გადავიდა, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ ფაკეტი, პიკი, სუარესი, კორსო და ჟაირი.

მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა. „ტორპედოს" საჯარიმო მოედანზე შექმნილ სახიფათო სიტუაციაში ბურთი მოხვდა ვორონინს, მკვეთრად იცვალა გეზი და კარში გავიდა. იტალიელები დასჯერდნენ გამარჯვებას მინიმალური ანგარიშით — 1:0.

## თასების მფლობელთა თასზე

ლიმასოლი (კვიპროსი). გათამაშების მეორე წრეში გავიდა ლიეჟის „სტანდარდი" (ბელგია), რომელმაც აქ მოუგო ადგილობრივ „აპოლონს" — 1:0 (ბელგიელებს მოგებული ჰქონდათ პირველი მატჩიც — 5:1).

ოსბორგში (დანია) ერთმანეთს შეხვდნენ ამავე სახელწოდების ადგილობრივი გუნდი და ინგლისის „ევერტონი". მატჩი დამთავრდა ფრედ—0:0. საპასუხო თამაში შედგება 11 ოქტომბერს.

ფლორენციაში დამარცხდა უნგრეთის თასის მფლობელი „ვაშაშ-დიორი". ადგილობრივი „ფიორენტინის" მარცხენა გარემარბმა კიარუგიმ მეტოქის კარში გაიტანა ერთადერთი ბურთი.

## ბაზრობათა თასზე

შოტლანდიის „დანფერმლაინ ატლეტიკმა" ოსლოში დაამარცხა ადგილობრივი „ფრეგი" — 3:1. შოტლანდიელებს პირველი მატჩიც ასეთივე ანგარიშით ჰქონდათ მოგებული და ისინი გავიდნენ გათამაშების შემდგომ ტურში.

ინგლისის „ბერნლიმ" საკუთარ მინდორზე მიიღო გფრ-ის „შტუტგარტი". ამ გუნდების პირველი მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. ინგლისელებმა ამჯერად გამარჯვებას (2:0) მიაღწიეს და გათამაშების შემდგომ ტურში გავიდნენ.

(საქ. ინფ.).

# უბრალოდ, მაგრამ ეფექტურად

ბელგრადი, 29 სექტემბერი. უკეთებს რა ანალიზს გუშინდელ მატჩს თასების მფლობელთა თასზე ფეხბურთში მოსკოვის „სპარტაკსა" და ბელგრადის ოფკ-ს შორის, გაზეთი „ბორბა" წერს, რომ პირველ ტაიმში საბჭოთა გუნდმა „მასპინძლებს აჩვენა თანამედროვე და ეფექტური ფეხბურთის ნამდვილი გაკვეთილი". გაზეთი განსაკუთრებით გამოჰყოფს სიომინისა და მასლაჩენკოს თამაშს.

გაზეთი „სპორტი" აღნიშნავს, რომ პირველ ტაიმში „მინდორზე იყო მხოლოდ ერთი გუნდი — „სპარტაკი", რომლის ფეხბურთელებს სათანადო უნდა მიეზღოს გამარჯვებისთვის, თავგანწირული, ძალიან სწრაფი და უბრალო თამაშისთვის. ვფიქრობთ, ბოლო წლებში არც ერთ საბჭოთა გუნდს, რომელიც კი ბელგრადში იყო, არ უთამაშია ასეთი თანამედროვე და ამავე დროს უბრალო ფეხბურთი. პირდაპირ სასწაულია, რომ „სპარტაკმა" პირველ ტაიმში ვერ გაიტანა მეტი ბურთი".

„სპორტს" მიაჩნია, რომ მსაჯი ვეტერი (გდრ) „მეტისმეტად მკაცრად მოიქცა, როცა პირველი პენალტი დანიშნა სტუმრების კარში". დაბოლოს, გაზეთი წერს: „5 ოქტომბრის მატჩში მოსკოვში „სპარტაკთან" ბელგრადის ოფკ-ს წარმატების მცირე შანსები აქვს".

## სპორტული კალეიდოსკოპი

### ჭადრაკის მერიდიანებზე

● ჰააგა. აქ გრძელდება ჭადრაკში მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირი. 6 ტურის შემდეგ I-II ადგილებზე არიან იუგოსლაველები ს. გლიგორიჩი და დ.ველიმიროვიჩი (5-5). საინტერესოა, რომ I ტურში გლიგორიჩთან წაგების შემდეგ ველიმიროვიჩმა ზედიზედ მოიგო 5 პარტია. III ადგილზეა ი. ბილეკი (უნგრეთი) — 4,5.

● ცინოვიცი (გდრ). ტრადიციულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 3 ტურის შემდეგ ლიდერობენ ლ. ცინი (გდრ), ი. ნეი (სსრ კავშირი) და ვ. ფიხტლი (ჩეხოსლოვაკია) — 1,5-1,5 ქულა და თითო გადადებული პარტია. ტურნირის 16 მონაწილეს შორის 9 მასპინძელია, რომელთაგან 6 საუკეთესო გდრ-ის ოლიმპიურ გუნდში ჩაირიცხება. ამიტომ გერმანელი მოჭადრაკეები დიდი მონდომებით თამაშობენ. გდრ-ის ჩემპიონმა სტარტზე „იმსხვერპლა" საბჭოთა დიდოსტატი ვ. ანტოშინი.

# ველოსპორტის ამბები

### ვ. ფეტისოვი — გამარჯვებულთა შორის

ლაიპციგი. აქ გაიმართა გდრ-ისა და სსრ კავშირის დინამოელთა შეჯიბრება სატრეკო ველოსპორტში. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 13.8. სტუმართაგან გაიმარჯვეს სპრინტერებმა (კოლიუშევმა და ტორმოზოვმა 2-2 მატჩი მოიგეს) და 4 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლის ოსტატებმა — 1.05,8. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულ გუნდში კოზიისა და რასტორგუევის მხარდამხარ გამოდიოდა საქართველოს წარმომადგენელი ვ. ფეტისოვი.

### ჯარიმა 25 ათასი ლირა

რომი. პროფესიონალთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა სპრინტში, იტალიელმა ჯ. ბეგეტომ მოკლე ხანში ჯარიმის სახით უნდა გადაიხადოს 25 ათასი ლირა. ეს გადაწყვეტილება მიიღო იტალიის პროფესიული ველოსპორტის ფედერაციამ იმის გამო, რომ ბეგეტომ ჩემპიონის მაისური სარეკლამო მიზნებით ერთ-ერთ იტალიურ ფირმას დაუთმო.

### მხოლოდ მესამენი

კიოლნი. დამთავრდა მსოფლიო პირველობის გათამაშება ველობურთში. შარშანდელმა ჩემპიონებმა ი. და ი. პოსპიშილებმა (ჩეხოსლოვაკია) მხოლოდ III ადგილი დაიკავეს. პირველობა მოიგეს გდრ-ის სპორტსმენებმა ე. დუზინმა და გ. მარტინმა, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს გფრ-ის წარმომადგენლები ვ. ვენცელი და გ. ბიტენდორფი — 3:1. ჩემპიონატში მონაწილეობდნენ საფრანგეთის, გდრ-ის, შვეიცარიის, ჩეხოსლოვაკიის, ბელგიის, დანიის, გფრ-ისა და ავსტრიის გუნდები.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 12092